ხელშეკრულება 14

ქ. გორი 03 ოქტომბერი 2016 წელი

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

1. ერთის მხრივ ა(ა)იპ „დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი"(შემდგომში-შემსრულებელი), კავშირის გამგეობის თავმჯდომარის გიორგი ფერშანგიშვილის სახით, მეორეს მხრივ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის საჯარო სკოლის დირექტორის თეა ხაბალაევას სახით (შემდგომში - დამკვეთი), შეთანხმდნენ შემდეგზე: შემსრულებელი ვალდებულია მოახდინოს, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის საჯარო სკოლის შენობაში (ს/კ 66.51.07.169) არსებული იჯარით გასაცემი 15.12კვ.მ ფართის (სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირებისათვის) წლიური საიჯარო ქირის საწყისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრა და სათანადო დასკვნის გაცემა.

მუხლი 2. ხელშეკრულების რეგულირების სამართლებრივი საფუძველი

1 მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები ძირითადად რეგულირდება: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე-633-ე, 636-ე-638-ე, 642-ე-645-ე, 647-ე-649-ე მუხლებით და ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

1.ხელშეკრულების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის მიერ საექსპერტო მომსახურების გაწევა, ექსპერტის დასკვნის ან აქტის დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაცემა.

მუხლი 4. საექსპერტო მომსახურების ვადა

1. შემსრულებელი საექსპერტო კვლევას/გამოკვლევას იწყებს დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენის დღიდან. დასკვნა/აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაიცემა 30 სამუშაო დღის ვადაში.

2. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო მომსახურება ითვალისწინებს კავშირის ტერიტორიის გარეთ არსებული საკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას და ნიმუშის აღებას, საექსპერტო მომსახურების ვადის ათვლა იწყება დამკვეთის მომართვის დღიდან 30 სამუშაო დღის ვადაში.

3. საექსპერტო კვლევის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, დამკვეთთან შეთანხმებით;

მუხლი 5. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1.ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრება 100-00 (ასი) ლარის ოდენობით.

2. დამკვეთი გაეცნო ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული, შესაბამისი საექსპერტო ან სპეციალური სამუშაოების ღირებულებას (რასაც ადასტურებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით), რომელსაც დამკვეთი იხდის უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებამდე ან სამუშაოს შესრულებიდან დასკვნის მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში .

მუხლი 6. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

1. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) დამკვეთის წერილობითი მომართვის საფუძველზე გაუწიოს მომსახურება;

ბ) საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად საჭირო მასალები მიიღოს და ჩაიბაროს კანონით დადგენილი წესით;
გ) ხარისხიანად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში;
დ) გადასცეს დამკვეთს საექსპერტო სამუშაო (დასკვნა) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, საგადასახადო ანგარიშფაქტურის გადაცემის (საჭიროების შემთხვევაში) მათ შორის ელექტრონული ფორმით)) და საექსპერტო მომსახურების ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ;
ე) დამკვეთის მიერ საკვლევი მასალის/ობიექტის წარმოუდგენლობის ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, მომართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მოითხოვოს საჭირო მასალა/ობიექტი;
ვ) მოთხოვნა საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენაზე განახორციელოს: წერილობითი ფორმით; ტელეფონით (სატელეფონო საუბარი ექსპერტის მიერ დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი ოქმის შედგენით); ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით (ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით ან შესაბამისი ოქმის შედგენით);
ზ) თუ საექსპერტო მომსახურება ითვალისწინებს კავშირის ტერიტორიის გარეთ არსებული გამოსაკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას/ნიმუშის აღებას, შემსრულებელი ვალდებულია კვლევის დაწყებიდან გონივრულ ვადაში შეუთანხმოს დამკვეთს ობიექტის დათვალიერების/კვლევის/ნიმუშის აღების თარიღი და დრო.
თ) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში საექსპერტო მომსახურების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, კაქვშირის გამგეობის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე გააგრძელოს საექსპერტო მომსახურების ვადა.
ი) შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის (განყოფილების) ხელმძღვანელი ვალდებულია ამ მუხლის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების
შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს: წერილობითი ფორმით; ტელეფონით
კ) დაიცვას გამოკვლევის შესრულების (საექსპერტო კვლევის) საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს დამკვეთისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;
ბ) დამკვეთის მიერ 10 სამუშაო დღეში, საექსპერტო მომსახურებისთვის აუცილებელი ობიექტის/ მასალის წარმოუდგენლობის/არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, შეადგინოს აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ ან შეწყვიტოს ექსპერტიზის წარმოება.

3. დამკვეთი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
ბ)ხელი შეუწყოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაში;
გ)სრულყოფილი სახით წარმოადგინოს საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალები ან/და უზრუნველყოს ექსპერტის ან სპეციალისტის დაშვება ობიექტზე.

4. დამკვეთი უფლებამოსილია:

მოითხოვოს შემსრულებლისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტით მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანზე.

2. თუ დამკვეთი უარს განაცხადებს შემსრულებლის მიერ ჩატარებული სამუშაოს გაგრძელებაზე, ან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ვერ უზრუნველყოფს ექსპერტის დაშვებას ობიექტზე, ან დასკვნის მომზადება შეუძლებელია არსებული მასალების საფუძველზე, ექსპერტი ადგენს აქტს დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ, ხოლო დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი ექსპერტიზისათვის განკუთვნილი ტარიფით განსაზღვრული თანხის 25%.

3. თუ შემსრულებელი თავისი ბრალით უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადას და ამით დამკვეთს მიადგება რაიმე სახის მატერიალური ზიანი, იგი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედება

1. ხელშეკრულების დადების თარიღად ჩაითვლება ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღე.

2. დაკვეთის მოქმედების ვადა აითვლება შემსყიდველი მხარის მიერ მიმწოდებლისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის გადაცემის მეორე დღიდან.

3. წინამდებარე ჩარჩო ხელშეკრულება მოქმედებს 2016 წლის 15 ნოემბრამდე ამასთან ხელშეკრულება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას მხარეებისთვის იმ პერიოდამდე, ვიდრე მხარეები სრულად არ შეასრულებენ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთ შეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

2. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთი მხარისთვის, გარდასამოქლაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა (ცალკეული პირობების შეცვლა, გაუქმება) შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ფორმით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

2. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს გარიგებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

3. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 11. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ფორს მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 13. სხვა პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად და ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

2.შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით მოწესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსრულებელი	**დამკვეთი**
ა(ა)იპ„დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი"	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის საჯარო სკოლა
ს/ნ 218032938	**ს/ნ 218047913**
ქ. გორი. სამების ქ. №1	
0(370) 27 00 60	ტელ: 577 922534
dsekavshiri@gmail.com	
პროკრედიტ ბანკი.	ს.ს ლიბერთი ბანკი LBRTGE22
კოდი MIBGGE22	
ანგარიშის ნომერი GE10PC0143600100034857	ანგ. ნომერი GE70LB0121142154040000
კავშირის თავმჯდომარე	დირექტორი
გიორგი ფერშანგიშვილი	თეა ხაბალაევა

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. გორი

10 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერმა, ერთის მხრივ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის საჯარო სკოლის დირექტორმა თეა ხაბალაევამ (შემდგომში დამკვეთი), და მეორეს მხრივ ა(ა)იპ დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გიორგი ფერშანგიშვილმა (შემდგომში შემსრულებელი) ვიმოქმედეთ, რა ჩვენს შორის 2016 წლის 03 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შევადგინეთ მიღება - ჩაბარების აქტი შემდეგზე, მიმწოდებელმა შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, კერძოდ მოახდინა სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის საჯარო სკოლის შენობაში (ს/კ 66.51.07.169) არსებული იჯარით გასაცემი 15.12კვ.მ ფართის (სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირებისათვის) წლიური საიჯარო ქირის საწყისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრა და სათანადო დასკვნის გაცემა.

მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 100-00 (ასი) ლარი.

დამკვეთი:

შემსრულებელი: